სორბონის დეკლარაცია

ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის არქიტექტურის ჰარმონიზაცია

საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ოთხი მინისტრის ერთობლივი დეკლარაცია

სორბონა, პარიზი, 1998 წლის 25 მაისი

ევროპულმა პროცესმა ბოლო დროს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ევროპა არა მარტო საერთო ვალუტა, ბანკები და ეკონომიკაა, არამედ იგი ასევე უნდა გახდეს "ცოდნის ევროპა". ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი კონტინენტის ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და ტექნიკური განზომილებები. ამას უმეტეს წილად განსაზღვრავს უნივერსიტეტები, რომელთა როლი გადამწყვეტია ასეთი განვითარებისათვის.

უნივერსიტეტები ევროპაში სამი მეოთხედი ათასწლეულის წინ ჩამოყალიბდა. ჩვენს ქვეყანებს შეუძლიათ იამაყონ უძველესი უნივერსიტეტებით. ისინი ამჟამად მნიშვნელოვან თარიღებს ისევე ზეიმობენ, როგორც დღეს პარიზის უნივერსიტეტი. ადრე სტუდენტებსა და მეცნიერებს შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება და ცოდნის გავრცელება მთელ კონტინენტზე. დღეს ბევრი ჩვენი სტუდენტი ისე ამთავრებს სწავლას, რომ ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს საზღვარგარეთ გარკვეული დროით სწავლის უპირატესობით.

ჩვენ ვუახლოვდებით განათლებასა და შრომის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდს, როდესაც პროფესიული კარიერის მრავალფეროვნება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა აშკარა აუცილებლობა ხდება. ჩვენ მოვალენი ვართ, სტუდენტებისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე, შევქმნათ უმაღლესი განათლების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის მოღვაწეობის ოპტიმალური სფეროს შერჩევას.

უმაღლესი განათლების ღია ევროპული სივრცე შეიცავს მდიდარ პოზიტიურ პერსპექტივებს, ცხადია, ჩვენი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. მაგრამ, მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას ბარიერების გაუქმების და სწავლებისა და სწავლის ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომელებიც გააფართოებენ მობილობას და მჭიდრო თანამშრომლობას.

ჩვენი სისტემების საერთაშორისო აღიარება და მიმზიდველობა პირდაპირაა დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად გასაგებია ის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. როგორც ჩანს სისტემა, რომელიც ორი ძირითადი - დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი – საფეხურისაგან შედგება, აღიარებულ უნდა იქნეს საერთაშორისო შედარებისა და ეკვივალენტობისათვის.

ამ სისტემის ორიგინალობა და მოქნილობა მიღწეული იქნება კრედიტებისა (როგორიცაა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა - ECTS) და სემესტრების გამოყენებით. მიღებული კრედიტების აღიარება შესაძლებელს გახდის სწავლის დაწყებას ან გაგრძელებას ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში და აკადემიური ხარისხის მიღებას სიცოცხლის ნებისმიერ პერიოდში. ცხადია, სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს დაიწყოს აკადემიური მოღვაწეობა თავისი პროფესიული ცხოვრების ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლიდან.

დიპლომამდელი საფეხურის სტუდენტს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ნებისმიერ პროგრამაზე, ინტერდისციპლინური სწავლების შესაძლებლობების, უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესებისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით. პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის, როგორც შესაბამისი დონის კვალიფიკაციის, საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვანია, რათა ყველასათვის ნათელი გახდეს ჩვენი უმაღლესი განათლების სტრუქტურა.

დიპლომის შემდგომ საფეხურზე უნდა იყოს არჩევანი მოკლევადიან სამაგისტრო ხარისხსა და გრძელვადიან სადოქტორო ხარისხს შორის, ერთიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობით. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლევით და დამოუკიდებელ მუშაობას.

სწავლების ორივე, დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ, საფეხურზე ხელი უნდა შევუწყოთ სტუდენტებს, რათა მათ ერთი სემესტრი მაინც გაატარონ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. ამასთან ერთად, მეტმა პედაგოგმა და მეცნიერმა უნდა იმუშაოს საზღვარგარეთ, ევროპულ ქვეყნებში. ევროკავშირის მზარდი მხარდაჭერა სტუდენტებისა და პედაგოგების მობილობის საქმეში სრულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბევრმა ქვეყანამ (არა მარტო ევროპაში) კარგად გააცნობიერა ასეთი ევოლუციის ხელშეწყობის აუცილებლობა. ევროპის რექტორთა კონფერენციები, უნივერსიტეტების პრეზიდენტები, ექსპერტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები მონაწილე ქვეყნებიდან ჩართულნი არიან აღნიშნული პრობლემების ფართო განხილვაში.

გასულ წელს, ლისაბონში მიღებულ იქნა კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის შესახებ. მასში ჩამოყალიბებულია საბაზისო მოთხოვნები და აღიარებულია, რომ ცალკეულ ქვეყნებს შეუძლიათ კვალიფიკაციების ცნობის უფრო კონსტრუქციულ სქემებში მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია წინსვლა კონვენციის დებულებებზე დაყრდნობით. ეს უკვე ქმნის აკადემიური ხარისხების პროფესიული მიზნებისთვის ურთიერთაღიარების ზოგად საფუძველს ევროკავშირის დირექტივების გამოყენებით.

ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნების მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ხელს უწყობენ მიღებული ცოდნისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხების გამარტივებულ აღიარებას. ჩვენ მოველით, რომ ეს ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტთაშორისო შეთანხმებებს. ჩვენი აკადემიური ხარისხებისა და საფეხურების საყოველთაო სტრუქტურების პროგრესული ჰარმონიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს არსებული გამოცდილების გაზიარებით, ერთობლივი დიპლომებით, საპილოტო ინიციატივებითა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგით.

ამით ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, რომ ხელს შევუწყობთ საერთო სისტემის ჩამოყალიბებას, საზღვარგარეთ აღიარების გაუმჯობესებისა და სტუდენტების მობილობისა და დასაქმების გამარტივების მიმართულებით. პარიზის უნივერსიტეტის იუბილე დღეს აქ, სორბონაში, გვაძლევს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის კარგ შესაძლებლობას, სადაც ეროვნული თავისებურებანი და საერთო ინტერესები იმოქმედებენ და გააძლიერებენ ერთმანეთს ევროპის, მისი სტუდენტებისა და, ზოგადად, მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ. ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირის სხვა წევრებს და ევროპის დანარჩენ ქვეყნებს შემოგვიერთდნენ აღნიშნული მიზნების მისაღწევად. მოვუწოდებთ ყველა ევროპულ უნივერსიტეტს გააძლიეროს მსოფლიოში ევროპის როლი მისი მოქალაქეების განათლების უწყვეტი გაუმჯობესებისა და განახლების გზით.

ხელს აწერენ საფრანგეთის, იტალიის, გაერთიანებული სამეფოს და გერმანიის წარმომადგენლები.